შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ონლაინ თიქეთსის

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2020 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი		
#	შინაარსი	გვ.
1	ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
2	სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
3	ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები	5-13

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)		31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
აქტივები							
გრძელვადიანი აქტივები							
მონაწილეობა სხვა საწარმოს კაპიტალში	9	215,595		215,595			
ძირითადი საშუალებები	10	71,378		86,252		70,672	
არამატერიალური აქტივები	11	1,039,763		952,550		744,372	
სულ გრძელვადიანი აქტივები			1,326,736		1,254,397		815,044
მიმდინარე აქტივები							
სხვა მიმდინარე აქტივები	12	106,519		26,099		39,626	
გადახდილი ავანსები	13	3,328		54,253		70,580	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	116,928		191,180		155,659	
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	15	24,920		1,280,245		496,258	
სულ მიმდინარე აქტივები			251,695		1,551,777		762,123
სულ აქტივები:			***1,578,431***		***2,806,174***		***1,577,167***
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები							
საკუთარი კაპიტალი							
საწესდებო კაპიტალი	16	433,259		433,259		433,259	
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი	17	667,080		979,634		649,832	
სულ საკუთარი კაპიტალი			1,100,339		1,412,893		1,083,091
გრძევადიანი ვალდებულებები							
სასესხო ვალდებულება	22	200,000		0		0	
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	23	94,842					
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			294,842		0		0
მოკლევადიანი ვალდებულებები							
სავაჭრო ვალდებულებები	18	108,975		1,322,489		473,590	
საგადასახადო ვალდებულებები	19	47,032		49,868		0	
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	20	4,900		560		1,190	
სხვა ვალდებულებები	21	22,343		20,364		19,296	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები			183,250		1,393,281		494,076
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			***1,578,431***		***2,806,174***		***1,577,167***

დირექტორი: ლევან კილაძე

შპს ონლაინ თიქეთსი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

		2020	2019
განგრძობითი ოპერაციები			
საკომისიო შემოსავლები	5	672,429	1,592,628
წმინდა საკომისიო შემოსავლები		**672,429**	**1,592,628**
სხვა შემოსავლები	6	61,622	100,296
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები	7	(572,210)	(467,519)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	8	(60,060)	(13,582)
საპროცენტო შემოსავალი	9	12,955	43,135
საპროცენტო ხარჯი	9*	(12,010)	0.00
იჯარის ხარჯი	10	(43,141)	(25,301)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	11	(345,511)	(846,893)
საოპერაციო მოგება		**-285,926**	**382,764**
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	12	791	(14,916)
მოგება დაბეგვრამდე		**-285,135**	**367,848**
საგადასახადო ხარჯი		0.00	(-38,046)
საანგარიშო წლის წმინდა მოგება და სრული შემოსავალი		**-285,135**	**329,802**

დირექტორი: ლევან კილაძე

შპს ონლაინ თიქეთსი
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. **ზოგადი ინფორმაცია**

შპს ონლაინ თიქეთსი შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ირ.აბაშიძის ქ., N 3, ბ. 11. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი პ. ქავთარაძის N19. საწარმო წილის მმართველები 2020 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით იყვნენ: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თიბისი ინტერნეიშენალი 55%, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ლემონდუ ბიზნეს 26%, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ლემონდუ გროუს კაპიტალი 9% და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ნიუსრუმი 10%.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა: ელექტრონული პორტალის www.tkt.ge-ს საშუალებით სხვადასხვა ღონისძიებაზე - თეატრალური, საბალეტო, საკონცერტო, სპექტაკლი, კინოფილმი, პრეზენტაცია ან ნებისმიერი სხვა სახის საჯარო ღონისძიება, რომელიც ხორციელდება დამკვეთის მიერ და/ან მის ტერიტორიაზე, დასასწრები ბილეთების/საშვის რეალიზაცია.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკურ გარემოს. შესაბამისად,საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2020 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. **ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოადგინილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2016 წლის პირველი იანვარი.

3. **სააღრიცხვო პოლიტიკა**

3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი

სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საწარმო სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც საწარმო რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში რთავს მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხებს.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება ყოველთვიურად, ფაქტიურად რეალიზებული ბილეთების/საშვის შესაბამისად. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2 ფინანსური ინსტრუმენტები

გაცემული სესხები

გაცემულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

გაცემულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით გაუფასურების გამოკლებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარესათვის უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიცემიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადა-სახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება

აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/(მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

***3.3* ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები**

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის და-რიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

3.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

3.6 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.7 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს,უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდბა მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა,

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი არეები, რომლებიც მენეჯმენტისგან მოითხოვს შეფასებებსა და დაშვებებს დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების ცვეთის

განაკვეთებთან, საგარანტიო ანარიცხებთან და აქტივების გაუფასურებასთან.

შემოსავლებში ჩართულია მხოლოდ საკომისიო სახით მიღებული თანხები

5. საკომისიო შემოსავლები

	საკომისიო შემოსავლები	2020 წ.	2019 წ.
1	საკომისიო შემოსავლები საიტიდან რეალიზებული ბილეთების ღირებულებიდან	662’019	1529490
2	საკომისიო შემოსავლები სალაროთი და ბანკის გზით რეალიზებული ბილეთების ღირებულებიდან	10’409	63138
ჯამი		**672’429**	**1’592’628**

6. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

		2020 წ.	2019 წ.
1	მომსახურება+ნედლეული	5542	37795
2	სარეკლამო ხარჯი	90215	114004
3	ბანკის მომსახურების საკომისიო	118894	281824
4	სერვერის მომსახურების ხარჯი	125’727	132677
5	სახელფასო ხარჯი	0	126288
6	სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	5’133	154305
ჯამი		**345’511**	**846’893**

7. სხვა შემოსავლები

		2020 წ.	2019 წ.
1	საიტზე რეკლამით მიღებული შემოსავალი	61’622	100296
ჯამი		**61’622**	**105296**

8. დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

		2020 წ.	2019 წ.
1	ადმინისტრაციული ხელფასი	453’315	414218
2	ბონუსები	0	53301
ჯამი		**453’315**	**467519**

9. ძირითადი საშუალებები

			ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
თვითღირებულება					
1 იანვარი 2020 წ.			38441	47811	86252
შემოსვლა			0	2482	2482
გასვლა			0	0	0
31 დეკემბერი 2020 წ.			38441	50293	88734
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					0
1 იანვარი 2020 წ.			18965	16391	35356
წლიური ცვეთა			6510	10846	17’356
გაუფასურება			0	0	0
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა			0	0	0
31 დეკემბერი 2020წ.			25475	27237	52712
საბალანსო ღირებულება					0
31 დეკემბერი 2020 წ.			31931	39447	71378

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალ-დებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ მანქანა-დანადგარის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

11. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა (დაასახელეთ)	სულ
თვითღირებულება			
1 იანვარი 2020 წ.	952550		952550
შემოსვლა	158306		158306
გასვლა	0		0
31 დეკემბერი 2020 წ.	1’110’856		1’110’856
			0
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება			0
1 იანვარი 2020 წ.	604		604
წლიური ამორტიზაცია	42704		42704
გაუფასურების ზარალი	28’389		28389
გასული აქტივების დაგროვილი ამორტიზაცია (ჩართულია ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯში ან ადმინისტრაციულ ხარჯებში)	0		0
31 დეკემბერი 2020 წ.	71’308		71’308
			0
საბალანსო ღირებულება			0
31 დეკემბერი 2020 წ.	1’039’763		1’039’763

12. სხვა მიმდინარე აქტივები

	2020 წ.	2019 წ.
მოთხოვნების საწარმოს პერსონალის მიმართ	0	1620
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	94954	24479
საგადასახადო აქტივი	11565	0
ჯამი	106519	26099

13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020 წ.	2019 წ.
ფულადი სახსრები სალარაოში	20178	1259082
ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	4742	21163
საგარანტიო ანგარიში ბანკში		
მოკლევადიანი ანაბრები ბანკში		
ჯამი	**24920**	**1280245**

საწესდებო კაპიტალი

დაფუძნებისას კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 13259 ლარს. 2017 წელს მფლობელთა გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 420000 ლარით და შეადგინა 433259 ლარი.

	31/12/2020 (ლარი)
საწარმოს პარტნიორების კაპიტალი წესდების მიხედვით	433,259
საწარმოს პარტნიორების ვალდებულება კაპიტალის შევსებაზე	-
შევსებული კაპიტალის ოდენობა	433,259

16. სხვა ვალდებულებები

	2020 წ.	2019 წ.
სარეკლამო და ადმინისტრაციული ხარჯებიდან დავალიანება	20843	19364
საიჯარო გადასახდელები	1500	1000
ჯამი	**22343**	**20364**

საწარმოს საოპერაციო იჯარით აღებული აქვს რამდენიმე კომერციული ფართი. ამ იჯარის საშუალო ვადა 5 წელია. საიჯარო გადასახდელების გადახდა ხდება ფიქსირებული თანხით. ხარჯად აღიარებული საიჯარო გადასახდელები შეადგენს:

	2020 წ.	2019 წ
მოკლევადიანი ვალდებულება	43,141	25,301

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

შპს ლემონდუ ბიზნესი	2020 წ.	2019 წ.
ოპერაციები მაკონტროლებელ ან მნიშვნელოვანი გავლენის მქონე საწარმოებთან		
მომსახურეობის გაწევა	75’095	128801
საქონლის გაყიდვა		
არამატერიალური აქტივის შესყიდვა	75’715	208604

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა		

18. მსს ფასს -ზე გადასვლა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან. საწარმოს წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად არ წარმოქმნილა კორექტირებების აუცილებლობა.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი: ლევან კილაძე